



სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



KA030653757561618

18 / იანვარი / 2018 წ.

თბილისი #06-6/ო

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მიერ მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული ორგანიზაციული საკითხების რეგულირების, სტანდარტული ოპერაციული პროცედურის (SOP)- ბაქტერიებისა და ვირუსების ეროვნულ საცავში სადეზინფექციო საშუალებების ბაქტერიოციდული ეფექტის განსაზღვრის, განცხადებების და მიმართვის სტანდარტული ფორმის დამტკიცების და შესახებ

„საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ-ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მიერ მომსახურების გაწევის ვადის, სახეების, საფასურის გადახდის და გადახდილი საფასურის დაბრუნების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 14 სექტემბრის #468 დადგენილების და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 28 მარტის #107/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის, მე-3 პუნქტის, „გ“ და „ჟ“ ქვეპუნქტების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

- დამტკიცდეს, სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის:
 - მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული ორგანიზაციული საკითხების რეგულირების წესი - დანართი #1;
 - ცენტრისათვის მიმართვის სტანდარტული ფორმა - დანართი #2;
 - სტანდარტული ოპერაციული პროცედურა (SOP) - ბაქტერიებისა და ვირუსების ეროვნულ საცავში სადეზინფექციო საშუალებების ბაქტერიოციდული ეფექტის განსაზღვრა (კლასტერი 1.03) - დანართი #3;
 - სადეზინფექციო საშუალებების ბაქტერიოციდული ეფექტის განსაზღვრის განცხადების ფორმა - დანართი #4;
 - სადეზინსექციო, სადერატიზაციო საშუალების თანმხლები დოკუმენტების ვალიდურობის განცხადების ფორმა - დანართი #5;
 - სადეზინფექციო, სადეზინსექციო და სადერატიზაციო საშუალებათა სარეგისტრაციო მოწმობის ფორმა - დანართი #6;
 - რეგისტრირებული სადეზინფექციო, სადეზინსექციო და სადერატიზაციო საშუალებების შესახებ ცნობის ფორმა - დანართი #7.
- ამ ბრძანების პირველი პუნქტის „ბ“ „დ“ „ე“ „ვ“ და „ზ“ ქვეპუნქტებით დამტკიცებული განცხადებების და ფორმების შეესების სისწორეზე პასუხისმგებლობა დაეცისროს ცენტრის არაგადამდებ დაავადებათა დეპარტამენტის გარემოს ჯანმრთელობის სამმართველოს.
- დაევალოს, ცენტრის ადმინისტრაციულ დეპარტამენტს (კ. ოჩიგავა) უზრუნველყოს ამ ბრძანების განთავსება ცენტრის ოფიციალურ ვებ-გვერდზე - www.ncdc.ge.
- ძალადაკარგულად გამოცხადდეს "საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მიერ მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული ორგანიზაციული საკითხების რეგულირების, სტანდარტული ოპერაციული პროცედურის (SOP)- ბაქტერიებისა და ვირუსების ეროვნულ საცავში სადეზინფექციო საშუალებების ბაქტერიოციდული ეფექტის განსაზღვრის, განცხადებების და მიმართვის სტანდარტული ფორმის დამტკიცების და შესახებ" სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორის 2015 წლის 30 სექტემბრის #06-175/ო ბრძანება.
- ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

6. ეს ზრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის. ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კილომეტრი) ერთი თვის ვადაში.

გენერალური დირექტორი



ამირან გამყრელიძე

მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული ორგანიზაციული საკითხების რეგულირების წესი

1. სადღეწინფექციო, სადერატიზაციო და სადღეწინსექციო საშუალებების რეგისტრაციის მსურველი პირი (შემდგომში-განმცხადებელი) ამ ბრძანების პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით დამტკიცებული მიმართვის სტანდარტული ფორმის (შემდგომში-მიმართვის სტანდარტული ფორმა) შევსებამდე კონსულტაციის მიზნით მიმართავს სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის (შემდგომში-ცენტრი) იურიდიულ და გარემოს ჯანმრთელობის სამმართველოებს.
2. ცენტრის იურიდიული და გარემოს ჯანმრთელობის სამმართველოების მიერ გაწეული კონსულტაციის შემდეგ განმცხადებელი ცენტრის მიერ მითითებულ ანგარიშზე იხდის გასაწევი სარეგისტრაციო მომსახურების საფასურს.
3. საფასურის ეტაპობრივი გადახდის საკითხს წყვეტს ცენტრის გენერალური დირექტორი იურიდიული სამმართველოს დასაბუთებული მოხსენებითი ბარათის საფუძველზე და გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს.
4. განმცხადებელი სარეგისტრაციო მომსახურების საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტს, რეგისტრაციისათვის საჭირო სრულყოფილ დოკუმენტებს (ქართულ ენაზე ნათარგმნი და ნოტარიულად დამოწმებული) და საჭიროების შემთხვევაში საშუალების ნიმუშს წარადგენს ცენტრის კანცელარიაში და ავსებს მიმართვის სტანდარტულ ფორმას.
5. განმცხადებელი ამ ბრძანების პირველი პუნქტის „ბ“ და „გ“ პუნქტებით დამტკიცებულ განცხადებებს ავსებს მიმართვის სტანდარტული ფორმის შევსებიდან ერთი სამუშაო დღის განმავლობაში.
6. განცხადება არ მიიღება არასრული დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში.
7. განცხადების განხილვა შეჩერდება:
 - ა) 10 სამუშაო დღის ვადაში რეგისტრაციის მსურველთათვის - მიმართვის სტანდარტული ფორმის შევსებიდან 2 სამუშაო დღის ვადაში ნიმუშის წარმოდგენლობის შემთხვევაში;
 - ბ) 14 სამუშაო დღის ვადაში რეგისტრაციის მსურველთათვის - მიმართვის სტანდარტული ფორმის შევსებიდან 4 სამუშაო დღის ვადაში ნიმუშის წარმოდგენლობის შემთხვევაში;
 - გ) 30 სამუშაო დღის ვადაში რეგისტრაციის მსურველთათვის - მიმართვის სტანდარტული ფორმის შევსებიდან 7 სამუშაო დღის ვადაში ნიმუშის წარმოდგენლობის შემთხვევაში;
8. ცენტრის კანცელარია განცხადებას თანდართული დოკუმენტაციით ტვირთავს დეს-ში, რომელიც შესაბამისი გაწვევტილების მიზნით ეგზავნება ცენტრის გენერალურ დირექტორს, ხოლო ნიმუშს აგზავნის ლუგარის საზოგადოებრივი ჯანდაცვის კვლევითი ცენტრის ლაბორატორიაში. გენერალური დირექტორი განცხადებას განსახილველად ერთდროულად უგზავნის იურიდიულ სამმართველოს, გარემოს ჯანმრთელობის სამმართველოს და ლუგარის საზოგადოებრივი ჯანდაცვის კვლევითი ცენტრის შესაბამის დეპარტამენტს.

9. იურიდიული სამმართველო - განცხადების საფუძველზე ერთი სამუშაო დღის ვადაში ამზადებს ხელშეკრულებას ლაბორატორიული კვლევის შესახებ.
10. საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტი - ლაბორატორიული კვლევის ხელშეკრულების საფუძველზე დაუყოვნებლივ გამოწერს ინვოისს და განმცხადებელი ცენტრის შესაბამის ანგარიშზე იხდის ლაბორატორიული კვლევის საფასურს.
11. ბაქტერიების და ვირუსების ეროვნული საცავი - ატარებს ლაბორატორიულ კვლევას დადგენილებით გათვალისწინებულ ვადაში და კვლევის შედეგებს უგზავნის გარემოს ჯანმრთელობის სამმართველოს.
12. ზოონტომოლოგიის ლაბორატორია - საჭიროების შემთხვევაში იხილავს დოკუმენტაციას 4 დღის ვადაში და შედეგებს უგზავნის გარემოს ჯანმრთელობის სამმართველოს.
13. გარემოს ჯანმრთელობის სამმართველო ვალდებულია ჰიგიენური დასკვნა და რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი გასცეს საქართველოს მთავრობის 2015 წლის 14 სექტემბრის #468 დადგენილებით გათვალისწინებულ ვადაში.
14. საშუალება, რომელიც არ საჭიროებს რეგისტრაციას ცენტრში, გაიცემა ცნობა დადგენილი წესით და არის უფასო.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ბატონო ამირან,

გთხოვთ, დამირეგისტრიროთ _____ ქვეყნის _____ კომპანიის მიერ წარმოებული

(სადეზინფექციო, სადეზინსექციო, სადერატიზაციო) საშუალება _____,
(გთხოვთ ხაზი გაუსვათ შესაბამისს)

(გთხოვთ მიუთითოთ)

- 10(ათი) სამუშაო დღის ვადაში, რეგისტრაციის თანხა - 400 (ოთხასი) ლარი.
- 14 (თოთხმეტი) სამუშაო დღის ვადაში, რეგისტრაციის თანხა - 350 (სამას ორმოცდაათი) ლარი.
- 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში რეგისტრაციის თანხა - 200 (ორასი) ლარი.

სადეზინფექციო, სადეზინსექციო და სადერატიზაციო საშუალების რეგისტრაციისათვის საჭირო დოკუმენტაცია, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ქართულ ენაზე ნათარგმნი და ნოტარიულურად დამოწმებული, თან ერთვის განცხადებას.

მისამართი: _____

საკონტაქტო ტელ/ფაქსი: _____

ელ-ფოსტა: _____

ხელმოწერა: _____

რიცხვი: _____

ბეჭედი:

მეწარმის მიერ წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა:

1. ინფორმაცია სადღეინფექციო საშუალების გამოყენების სფეროს, წესებისა და პირობების შესახებ;
2. მონაცემები, სადღეინფექციო საშუალების ნიშნების, ეტიკეტების, შეფუთვის, შენახვის ვადებისა და პირობების შესახებ;
3. მონაცემები სადღეინფექციო საშუალების მავნე ზემოქმედებისას პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევის, პროფილაქტიკური ღონისძიებებისა და ტექნიკური უსაფრთხოების წესების შესახებ;
4. მონაცემები, სადღეინფექციო საშუალების შემადგენლობაში შემავალი ნივთიერებების იდენტიფიკაციის შესახებ;
5. იმპორტირებული პროდუქციის შემთხვევაში – მწარმოებელი ქვეყნის უფლებამოსლი ოფიციალური ორგანოს მიერ გაცემული წარმოშობის, ხარისხისა და უსაფრთხოების დამადასტურებელი დოკუმენტები.
6. ცენტრის მიერ გასაწევი სარეგისტრაციო მომსახურების საფასურის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი, საქართველოს 2015 წლის 12 სექტემბრის №468 მთავრობის დადგენილების „ეროვნული ცენტრის მიერ მომსახურების გაწევის ვადის, სახეების, საფასურის გადახდის და გადახდილი საფასურის დაბრუნების წესის დამტკიცების შესახებ“ შესაბამისად.
7. სადღეინფექციო საშუალების ერთი გაუხსნელი ნიმუში ლაბორატორიაში წარსადგენად.

ცენტრის მიერ უარყოფითი ჰიგიენური დასკვნის მიღების შემთხვევაში, პრეპარატი არ რეგისტრირდება და გადახდილი საფასური დაბრუნებას არ ექვემდებარება.

გავეცანი, ხელმოწერა _____



დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი (დკსჯეც)

დამტკიცებულია:

სსიპ ლ.საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის

გენერალური დირექტორი: /ა. გამყრელიძე/

___/___/___/___/___/___/ (ძალაში შესვლის თარიღი)

კლასტერი: I.03
მიკროორგანიზმების კულტურებთან მოპყრობის (შეფუთვა, ტრანსპორტირება, წუნდება) სტანდარტული ოპერაციული პროცედურები (SOP) ბაქტერიების და ვირუსების ეროვნული საცავისთვის

დასახელება: ბაქტერიებისა და ვირუსების ეროვნულ საცავში სადეზინფექციო საშუალებების ბაქტერიოციდული ეფექტის განსაზღვრა

ნომერი: № SOP-REPOS-I-005-13

ცვლილებების ისტორია: ვერსიის ნომერი ___/___/; გადახედვის თარიღი: ___/___/___/___/___/___/;
ვერსიის ნომერი ___/___/; გადახედვის თარიღი: ___/___/___/___/___/___/;
ვერსიის ნომერი ___/___/; გადახედვის თარიღი: ___/___/___/___/___/___/;

შენიშვნა: _____



დაავადებათა კონტროლის & საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი.

ბაქტერიებისა და ვირუსების ეროვნულ საცავში სადეზინფექციო საშუალებების ბაქტერიოციდული ეფექტის განსაზღვრა (SOP)

ნომერი 0
____/____/____

სფერო:
ბაქტერიებისა და ვირუსების ეროვნულ საცავში დესინფექციის შემოწმება.

წყარო:
ხარისხის მართვა, ბიუსაფროხობა
დამტკიცებულია

გამოშვების თარიღი:
--/--/2014--

ბალაში შესვლის თარიღი
--/--/----

ჩაანაცვლა ვერსია:
--/--/----

გაგრძელება:
დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ბაქტერიებისა და ვირუსების ეროვნული საცავი.

გვერდი:

ცვლილებების ისტორია

გადახედვის დონე	შეცვლილი პუნქტები	ცვლილების აღწერა (საიდან-სადამდე)	თარიღი	მიღებულია
ბიუსაფროხობისა და განსაკუთრებით საშიშ პათოგენთა სამართველო	პრინციპები			

I. მიზანი

ამ სტანდარტულ ოპერაციულ პროცედურებში მოცემულია სადეზინფექციო საშუალებების ბაქტერიოციდული ეფექტის განსაზღვრის ძირითადი ქმედებები ბაქტერიების და ვირუსების ეროვნულ საცავში

II. პრინციპები:

ა) ბაქტერიებისა და ვირუსების ეროვნულ საცავში მოწმდება სადეზინფექციო საშუალებების ბაქტერიოციდული ეფექტი (გრამ - დადებით და გრამ - უარყოფით ბაქტერიებზე) სადეზინფექციო საშუალებების გამოყენების სპეციფიკიდან გამომდინარე მიკროორგანიზმების შესაბამისი ATCC სტანდარტული შტამებით:

- სამედიცინო ინსტრუმენტებისთვის (როცა სამედიცინო ინსტრუმენტები შეხებაში მოდის სტერილურ ქსოვილთან, სისხლძარღვთან ან სისხლთან) რომლებიც მოითხოვს დეზინფექციის მაღალ დონეს (კრიტიკული ჯგუფი) - *S.aureus ATCC 25923*, *P.aeruginosa ATCC 27853*, *Enterococcus hirae ATCC 10541*, *B.subtilis ATCC 6633* და *B.cereus ATCC 4342*;
- სამედიცინო ინსტრუმენტებისთვის (როცა სამედიცინო ინსტრუმენტები შეხებაშია ლორწოვან გარსებთან ან მთლიანობა დარღვეულ კანთან) რომლებიც მოითხოვს დეზინფექციის მაღალ დონეს (ნახევრად კრიტიკული)- *S.aureus ATCC 25923*, *P.aeruginosa ATCC 27853*, *Enterococcus hirae ATCC 10541*, *B.subtilis ATCC 6633* და *B.cereus ATCC 4342*;

საქართველოს სახელმწიფო სადღეღინფექციო საშუალებების ბაქტერიოციდული ეფექტის განსაზღვრა (SOP)

სა.ს. ნაბიჯი მ

დავით მეტეღის თანხაი

- სამედიცინო ინსტრუმენტებისთვის (როცა სამედიცინო ინსტრუმენტები შეხებაშია ინტაქტურ კანთან) რომლებიც მოითხოვს დეზინფექციის დაბალ დონეს - *S.aureus ATCC 25923*, *P.aeruginosa ATCC 27853*, *Enterococcus hirae ATCC 10541*;
- ანტისეპტიკის მიზნით - პაციენტის/ავადმყოფის საოპერაციო და საინფექციო არეების (კანის) დამუშავებისთვის- *S.aureus ATCC 25923*, *E.coli ATCC 25922*, *MRSA ATCC 49775*;
- ხელის ჰიგიენური დამუშავებისთვის - *S.aureus ATCC 25923*, *E.coli ATCC 25922*, *MRSA ATCC 49775*, *S.enterica ATCC 13312*.
- იატაკის კედლის, მაგიდების, ზედაპირების ბაქტერიოციდული დამუშავებისთვის- *S.aureus ATCC 25923*; *P.aeruginosa ATCC 27853*; *E. aerogenes ATCC 13048* ან *K. pneumoniae ATCC BAA-1705*.
- სპოროციდული თვისების შესწავლისთვის - *B.subtilis ATCC 6633* და *B.cereus ATCC 4342*;
- წყლის (აუზის) მადეზინფიცირებელი დამუშავებისათვის - *E.coli ATCC 25922* და *Enterococcus faecium 19433*;
- სხვა ობიექტების დამუშავებისთვის - *P.aeruginosa ATCC 27853*, *B.subtilis ATCC 6633* და *B.cereus ATCC 4342*;

ბ) ბაქტერიოციდული თვისების შესასწავლად ნიმუშის შეფუთვაზე და შენახვის პირობებზე (ტემპერატურა, დრო, შიგთავსის მუდმივობა) პასუხისმგებლობა ეკისრება ნიმუშის წარმომდგენს; სადეზინფექციო საშუალებები შეიძლება წარმოდგენილი იქნას ხსნარის, ფხვნილის, აბების და ხელსახოცების სახით, მწარმოებლის მიერ პირველადი (ქარხნული) შეფუთვით.

სადეზინფექციო საშუალების თანმხლებ დოკუმენტებში დასახელებული მოქმედი ნივთიერებების შესაბამისობაზე სარეგისტრაციო სადეზინფექციო ნივთიერებასთან პასუხისმგებლობა ეკისრება ნიმუშის წარმომდგენს.

ბაქტერიოციდული თვისების შესასწავლად წარმოდგენილი ხსნარის განზავების და ექსპოზიციის დროის განსაზღვრის პასუხისმგებლობა ეკისრება ნიმუშის წარმომდგენს.

გ) სადეზინფექციო საშუალების ბაქტერიოციდული თვისებების შესწავლა იწყება ნიმუშის წარმომდგენის მიერ სტანდარტული განცხადების (დანართი 2) შევსებისა და ცენტრის იურიდიულ დეპარტამენტთან შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ.

II. მოვალეობები

ამ ნაწილში შეჯამებულია მოვალეობები, რომლებიც სპეციფიურია ამ სოპ-ისთვის. იხილეთ დაწესებულების/ადგილობრივი სახელმძღვანელოები ამ მოვალეობების სიის დასასრულებლად, რათა შესაძლებელი იყოს ამ სოპ-ის ჩატარება.

A. პერსონალის მოვალეობები

1. სტრუქტურული დანაყოფის ხელმძღვანელი ვალდებულია დაამტკიცოს ნებისმიერი ცვლილება და შეარჩიოს კვალიფიცირებული პერსონალი ამ სოპ-ით გათვალისწინებული პროცედურების შესასრულებლად. სტრუქტურული დანაყოფის ხელმძღვანელი შეაჯამებს ურთიერთგამომრიცხავ შედეგებს და გადასცემს ამ მონაცემებს დაწესებულების მოთხოვნების შესაბამისად. დამატებით, სტრუქტურული

სადავო სადებინფექციო საშუალებების ბაქტერიოციდული ეფექტის განსაზღვრა (SOP)

სოპ-ის სახელი: B

სადავო სადებინფექციო საშუალებების ბაქტერიოციდული ეფექტის განსაზღვრა

დანაყოფის ხელმძღვანელი ადგენს, თუ სოპ-ში მოცემული რომელი მასალის შეცვლა არის შესაძლებელი იგივე ხარისხის მასალით, და პერიოდულად უკავშირდება მწარმოებელს, ყველაზე განახლებული პროცედურების მისაღებად. სტრუქტურული დანაყოფის ხელმძღვანელმა უნდა უზრუნველყოს, რომ სტრუქტურული დანაყოფის პერსონალმა გამოავლინოს პროფესიონალიზმი სამუშაოს შესრულებისას.

2. ამ სოპ-ის შესასრულებლად დანიშნულმა პერსონალმა უნდა წაიკითხოს, გაიგოს და შეასრულოს ეს სოპ-ი. პერსონალი უნდა იყოს კვალიფიცირებული, რათა აკმაყოფილებდეს ხელმძღვანელის მიერ დადგენილ სპეციფიურ კრიტერიუმებსა და ტრენინგის მოთხოვნებს. ამ სოპ-ის პროცედურების დაწყებამდე, სტრუქტურული დანაყოფის მუშაკმა უნდა უზრუნველყოს სოპ-ის ყველა მასალის მომარაგება საჭირო რაოდენობით. სამუშაოს შესრულებისას პასუხისმგებელმა პირმა უნდა ჩაიწეროს ნებისმიერი ცვლილება, სათანადოდ შეავსოს ყველა საჭირო დოკუმენტაცია და დაუყოვნებლივ დაუკავშირდეს სტრუქტურული დანაყოფის ხელმძღვანელს, ხარისხის ოფიცერს ან ბიოუსაფრთხოების ოფიცერს ამ სოპ-ში განსაზღვრული მოქმედებების შესრულებისას წარმოქმნილი შეკითხვების შესახებ.
3. ბიოუსაფრთხოების ოფიცერი განიხილავს ამ სოპ-ს და აკეთებს რისკის შეფასებას იმ სამუშაო ადგილებისთვის, სადაც უნდა შესრულდეს ეს სოპ-ი (იხილეთ BMBL-5 ამ შეფასების ჩასატარებელი პროცედურებისათვის). ბიოუსაფრთხოების ოფიცერი განიხილავს და ამტკიცებს ნიმუშის მიღების, შენახვისა და პირველადი დამუშავებისთვის განკუთვნილ პროცედურებს იმ მდებარეობისათვის, სადაც ეს თითოეული მოქმედება უნდა ჩატარდეს.
4. ხარისხის კონტროლის ოფიცერმა შინაარსობრივად უნდა გაიგოს და დანერგოს შესაბამისი სასერტიფიკაციო ინფორმაცია რომელიც საჭირო იქნება ამ სოპ-ის შესასრულებლად. ხარისხის კონტროლის ოფიცერი თვალყურს ადევნებს ამ სოპ-ის პროცედურების დაცვას და სადაც საჭიროა, ზედამხედველობს შემთხვევების მართვას. საცნობაროდ უნდა იყოს გამოყენებული დაწესებულების ხარისხის სახელმძღვანელო აგრეთვე სხვა ხარისხის უზრუნველყოფის და/ან შემთხვევათა მართვის სოპ-ები, თუ ისინი მიესადაგება ამ სოპ-ს.

B. უსაფრთხოების სპეციფიური მოთხოვნები და მოვალეობები

უსაფრთხოება

სოპ-ში მოცემული პროცედურების შესრულებისას შესაძლებელია საქმე გვექონდეს შემდეგი სახის რისკებთან: კანის დაზიანება, თვალისა და სასუნთქი სისტემის დაზიანება.

დაცული უნდა იყოს ბიოუსაფრთხოების მოთხოვნებით გათვალისწინებული სპეციალური სამუშაო პრაქტიკა, როგორც მინიმუმი, დაცული უნდა იყოს ბიოუსაფრთხოების მე-2 და მე-3 დონის სტანდარტული და სპეციალური სამუშაო პრაქტიკა, უსაფრთხოების აღჭურვილობისა და დაწესებულების დიზაინის პროცედურები (BMBL 5th Ed., 2007).

ყველა სამუშაო უნდა ჩატარდეს მე-2 დონის ბიოლოგიური უსაფრთხოების კაბინებში (BSC). როგორც მინიმუმი, პირადი დამცავი აღჭურვილობა მოიცავს: ლაბორატორიულ ხალათს, ბახილებს, ხელთათმანებს, უსაფრთხოების სათვალეებს, ჩაჩსა და რესპირატორს.

საქართველოს ბაქტერიებისა და ვირუსების ეროვნულ
საცავში სადენზიფიკციო საშუალებების ბაქტერიოციდული ეფექტის განსაზღვრა (SOP)

ა. ნ. მჭედია

მ. დ. შ. მუსყელაძე

ბიოლოგიურად საშიშ თხევად ნარჩენებთან და ბასრ საგნებთან მოპყრობა უნდა ხდებოდეს ნარჩენებთან მოპყრობის სოკო-ის მიხედვით.

მარეზულირებელი მოვალეობები

ამ ნაწილში ჩამოთვლილია რეგულაციები, სტანდარტები ან გაიდლაინები, რომლებიც გამოიყენება სპეციფიურ ლაბორატორიაში.

1. ადგილობრივი/ეროვნული/საერთაშორისო რეგულაციები

მარეზულირებელი მოვალეობები

1. ადგილობრივი/ეროვნული/საერთაშორისო რეგულაციები

ა) საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება № 317/6 „პათოლოგიურ ბიოლოგიურ აგენტებზე (პათოლოგიურ მიკროორგანიზმებზე) მუშაობის სანიტარული ნორმების დამტკიცების შესახებ.“ 2005 წლის 6 დეკემბერი ქ.თბილისი.

ბ) საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება № 01-27/6 „სამედიცინო სტატისტიკური ინფორმაციის წარმოების და მიწოდების წესის შესახებ“ 23.05.2012წ. ქ.თბილისი

2. ბიოუსაფრთხოების/ბიოდაცვის რეგულაციები

- ბიოუსაფრთხოება მიკრობიოლოგიურ და ბიოსამედიცინო ლაბორატორიებში (BMBL), მე-5 გამოცემა.
- ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (WHO) ლაბორატორიული ბიოუსაფრთხოების სახელმძღვანელო, მე-3 გამოცემა
- საქართველოს კანონი „სასოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ (2007წ.) თავი V- ბიოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

IV. სინჯებთან მოპყრობა

ამ პროტოკოლში გამოსაყენებელი ნიმუშები მოიცავს:

- სხვადასხვა სახის სადენზიფიკციო საშუალებებს

სინჯებთან მოპყრობა: სადენზიფიკციო საშუალებები შემოწმდება ღამკვითის მიერ მოწოდებული მოთხოვნების მიხედვით.

V. რეაქტივი-მასალა/მომარაგება-აღჭურვილობა

A. მასალა/მომარაგება/აღჭურვილობა ბიოუსაფრთხოებისათვის

რეაქტივები:

- 70% ეთილის სპირტი
- სადენზიფიკციო საშუალება (მინიმუმ 0.5% ნატრიუმის ჰიპოქლორიტის ხსნარი ან

საქართველოს ბაქტერიებისა და ვირუსების ეროვნულ
საცავში სადენზიფექციო საშუალებების ბაქტერიოციდული ეფექტის განსაზღვრა (SOP)

სა.პ. კომიტეტი 0

საცავში შესვლის თარიღი

ექვივალენტური დენზიფექტანტი.)

- ხელების სადენზიფექციო ჟელე.

- მასალა:
- ბიონარჩენების პაკეტები
 - ერთჯერადი ხელთათმანები
 - ლაბორატორიული ხალათი
 - შემწოვი ხელსახოცები
 - დამატებითი PPE (მაგ; თვალის დამცავი საშუალებები, რესპირატორული დაცვა) საჭიროებისამებრ, რისკის შეფასებაზე დაყრდნობით
 - ერთჯერადი ბახილები, ჩაჩი.

აღჭურვილობა:

- სადენზიფექციო საშუალების კონტეინერი.
- ბიონარჩენების კონტეინერი.
- თავდახურული ჭურჭელი სათვალეებისათვის.
- ბიოუსაფრთხოების კაბინა.
- თერმოსტატი
- ერთჯერადი პიპეტები 2-5 მლ. მოცულობის.
- მრავალჯერადი პიპეტები 10-100 მკლ მოცულობის.

B. მასალა/მომარაგება/აღჭურვილობა პროცედურისთვის

რეაქტივები:

- ფიზიოლოგიური ხსნარი.
- გამოსდილი წყალი

მასალა:

- მარკერები, პასტები, გრაფიტის ფანქრები.
- ეტიკეტირების საშუალებები.
- 10-100 მკლ მოცულობის პიპეტის წვერები.
- 2-5 მლ. მოცულობის პიპეტის წვერები.
- ერთჯერადი მარყუეები
- ერთჯერადი სინჯარები.

VI. ხარისხის უზრუნველყოფა /ხარისხის კონტროლი

ხარისხის უზრუნველყოფა.

ხარისხის კონტროლი

1. ყველა კომერციულად შეძენილი რეაქტივი უნდა შეინახოს მწარმოებლის მიერ მოწოდებული ინსტრუქციების მიხედვით.

2. გამოყენებამდე უნდა მოწმდებოდეს ყველა რეაქტივის ვარგისიანობის ვადა.

VII. პროცედურები

- A.** აღჭურვილობისა და ლაბორატორიაში სამუშაო ადგილის მომზადება.

ბაქტერიებისა და ვირუსების ეროვნულ
საცავში სადენზიფექციო საშუალებების ბაქტერიოციდული ეფექტის განსაზღვრა (SOP)

თავი 1.1.1.1

საქართველოს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა აკადემია

- ყველა სამუშაო სრულდება ბიოუსაფრთხოების მეორე დონის კაბინაში.
- ჩართეთ კაბინა სამუშაოს დაწყებამდე მინიმუმ 2 წთ. ღრგ.
 - გაწმინდეთ სამუშაო ზედაპირები 0,5%-იანი ACE-ს ხსნარით და სამედიცინო სპირტით.
 - მოათავსეთ კაბინაში საჭირო რეაქტივები და მასალა.

B. პროცედურული საფეხურები

შენიშვნა: — ყველა პროცედურა უნდა ჩატარდეს ბიოუსაფრთხოების II-III დონის მოთხოვნათა დაცვით.

სადენზიფექციო საშუალებების შემოწმებისას დაიცავით შემდეგი პროცედურები.

1) ATCC შტამების მომზადება

- ა) დამკვეთის მიერ მოთხოვნილი კულტურა გათესეთ 4 კვადრატზე გათესვის მეთოდით მისთვის მოწოდებულ ელექტიურ ნიადაგზე.
- ბ) აწარმოეთ კულტურის ინკუბაცია ოპტიმალურ ტემპერატურაზე 24 -48 სთ-ი
- გ) ვიზუალურად შეაფასეთ ნაზარდი კოლონიების ერთგვაროვნება და შესაბამისობა კულტურის მახასიათებლებთან.
- დ) ნაზარდი შეღებეთ გრამის წესით და დარწმუნდით მის ერთგვაროვნებასა და შესაბამისობაში

2) სადენზიფექციო საშუალებების მომზადება

- ა) სადენზიფექციო საშუალებების განზავებები გააკეთეთ დამკვეთის მოთხოვნის მიხედვით, (ტემპერატურა, კონცენტრაცია) საჭირო რაოდენობის სინჯარებში, მინიმუმ 30 მლ. მოცულობით თითოეული.

3) კულტურის შეტანა საკვლევ დეზსაშუალებაში.

- თხევადი ფორმის დეზსნარში

- ა) დაიტანეთ კულტურა სტერილურ საფარ მინაზე 1-10 მკლ.-იანი მარყუჟის გამოყენებით.
- ბ) მოათავსეთ საფარი მინა მოთხოვნილი ტემპერატურის მქონე, შესამოწმებელ სადენზიფექციო ხსნარიან სინჯარაში. (თუ ასეთი არ არის მაშინ მოათავსეთ ოთახის ტემპერატურაზე 20-22°C-ზე) დამკვეთის მიერ მოთხოვნილი ექსპოზიციის დროით.

- დეზსნარით გაუღვნილ ხელსახოცებში და სხვა.

- ა) მოჭერით საკვლევი ხელსახოცის ნაწილი სიგრძით 4 და სიგანით 2 სმ. და დაიტანეთ კულტურა.
- ბ) გადაკვეთთ ხელსახოცი ისე რომ კულტურა მოექცეს ნაკვეცს შორის
- გ) გააჩერეთ მოთხოვნილი დროით.

4) ბაქტერიოციდული ეფექტის შემოწმება

- ა) დამკვეთის მიერ მოთხოვნილი ექსპოზიციის დროის გასვლის შემდეგ საფარი მინა/ხელსახოცის ნაწილი მოათავსეთ სოიოს ბულიონიან ჭურჭელში (საფარი მინა თავსდება გაშრობის შემდეგ);
- ბ) სოიოს ბულიონი კულტურით მოათავსეთ კულტურის ზრდის ოპტიმალურ ტემპერატურაზე 24-სთ-ით.

**ბაქტერიებისა და ვირუსების ეროვნულ
საცავში სადენზიფიკაციო საშუალებების ბაქტერიოციდული ეფექტის განსაზღვრა (SOP)**

თარიღი: 2023.09.01

სადასრულებელი: ანა ჯორჯიაძე

- გ) 24 საათიანი ინკუბაციის შემდეგ 0,1 მლ. ბულიონი დათესეთ მოცემული მიკრობის ზრდისათვის საჭირო ელექტიურ მყარ ნიადაგიან ფინჯანზე.
- დ) მოათავსეთ ნათესი ფინჯანი 24-72 საათით ოპტიმალურ ტემპერატურაზე.
- ე) ინკუბაციის დროის გასვლის შემდეგ შეამიწმეთ ფინჯანი ნაზარდის არსებობაზე.
- ვ) ნაზარდის არსებობის შემთხვევაში დარწმუნდით რომ ნაზარდი ჩვენს მიერ ჩათესილი კულტურაა.(ვიზუალური დათვალიერება, გრამით შეღებვა)

5) მიღებული შედეგები

- ა) „მიღებული ნაზარდი შეესაბამება ტესტირებაში გამოყენებულ კულტურას“. (+)
- ბ) „მიღებული ნაზარდი არ შეესაბამება ტესტირებაში გამოყენებულ კულტურას“. (?)
- გ) „ნაზარდი არ არის“ (-)

6) შედეგების ინტერპრეტაცია და გადაცემა

- ა) 5.ა და 5.გ პუნქტების შემთხვევაში შედეგები საბოლოოა და მიეწოდება არაგადამდებ დაავადებათა დეპარტამენტს, წერილობითი სახით, ელექტრონულად.
- ბ) 5. ბ პუნქტის შემთხვევაში შედეგები საჭიროებს გადამოწმებას.(საჭიროა დეზხსნარის პირდაპირი დათესვა და ტესტის განმეორებით ჩატარება.)

C. ერთჯერადი სპეცტანსაცმლის და პირადი დაცვის აღჭურვილობის დეკონტამინაცია.

- ა) სამუშაოს დამთავრების შემდეგ სათვალეები დაგამუშაოთ 70% სპირტით. გამოყენებული პიპეტები დაგამუშაოთ 0,5 % იანი ACE-ს ხსნარით, პიპეტის წვერები, გამოყენებული სინჯარები და ერთჯერადი პიპეტები ჩავეყურსოთ 1 % იანი ACE-ს ხსნარში 30 წთ. და მოვათავსოთ ბასრი საგნების კონტეინერში. ერთჯერადი სპეცტანსაცმელი და პირადი დაცვის აღჭურვილობა, გარდა სათვალეებისა მოვათავსოთ ბიუსაფრთხოების პარკში, შევეკრათ, დაგამუშაოთ 1%-იანი ACE-ს ხსნარით, ჩავდოთ მეორე პარკში, შევეკრათ და მოვახდინოთ ავტოკლავირება შემდგომი ინსცენერაციით. ხელები დაეიმუშაოთ 70% სპირტით ან სადენზიფიკაციო ჟელეთი და ჩამოვიბანოთ წყლით.

VII. ჩანაწერების ბაკმიტება/ანბარიშვება

ჩანაწერებს აკეთებს კვლევაზე პასუხისმგებელი პირი, შესაბამის ფორმებსა და ჟურნალებში.

ანგარიშგება.

შესრულებული სამუშაოს შესახებ ეცნობება სამმართველოს უფროსს და შედეგები მიეწოდება არაგადამდებ დაავადებათა დეპარტამენტს, წერილობითი სახით, ელექტრონულად.

VIII. საცნობარო ლიტერატურა

www.ats-labs.com

დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი
ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის
გენერალურ დირექტორს
ბატონ ამირან გამყრელიძეს

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

გთხოვთ, შეისწავლოთ:

სადღეინფექციო საშუალების -----

ჩემს მიერ წარმოდგენილი ნიმუშის** ----- ბაქტერიოციდული თვისებები*
(რაოდენობა, შეფუთვა)

წარმოდგენილი სადღეინფექციო საშუალების ნიმუში გამოყენებული იქნება:

- ქსოვილთან, სისხლძარღვთან ან სისხლთან შეხებაში მყოფი სამედიცინო ინსტრუმენტების დამუშავებისათვის სპოროციდული ეფექტით (*S.aureus* ATCC 25923, *P.aeruginosa* ATCC 27853, *E.hirae* ATCC 10541, *B.subtilis* ATCC 6633 და *B.cereus* ATCC 4342)****
- ქსოვილთან, სისხლძარღვთან ან სისხლთან შეხებაში მყოფი სამედიცინო ინსტრუმენტების დამუშავებისათვის არა სპოროციდული ეფექტით (*S.aureus* ATCC 25923, *P.aeruginosa* ATCC 27853, *E. hirae* ATCC 10541)
- ლორწოვან გარსებთან ან მთლიანობადადარღვეულ კანთან შეხებაში მყოფი სამედიცინო ინსტრუმენტების დამუშავებისათვის სპოროციდული ეფექტით (*S.aureus* ATCC 25923, *P.aeruginosa* ATCC 27853, *E. hirae* ATCC 10541, *B.subtilis* ATCC 6633 და *B.cereus* ATCC 4342)
- ლორწოვან გარსებთან ან მთლიანობადადარღვეულ კანთან შეხებაში მყოფი სამედიცინო ინსტრუმენტების დამუშავებისათვის არა სპოროციდული ეფექტით (*S.aureus* ATCC 25923, *P.aeruginosa* ATCC 27853, *E. hirae* ATCC 10541)
- ინტაქტურ კანთან შეხებაში მყოფი სამედიცინო ინსტრუმენტების დამუშავებისათვის (*S.aureus* ATCC 25923, *P.aeruginosa* ATCC 27853, *E. hirae* ATCC 10541)
- ანტისეპტიკის მიზნით - პაციენტის/ავადმყოფის საოპერაციო და საინექციო არეების (კანის) დამუშავებისთვის (*S.aureus* ATCC 25923, *P.aeruginosa* ATCC 27853, *E. hirae* ATCC 10541)
- ხელის ჰიგიენური დამუშავებისთვის (*S.aureus* ATCC 25923, *E.coli* ATCC 25922, *P.aeruginosa* ATCC 27853, *E.hirae* ATCC 10541)
- იატაკის კედლის, მაგიდების, ზედაპირების ბაქტერიოციდული დამუშავებისთვის (*S.aureus* ATCC 25923, *P.aeruginosa* ATCC 27853, *E. hirae* ATCC 10541)
- წყლის (აუზის) დეზინფექციისათვის****(*E.coli* ATCC 25922, *S.sonnei* ATCC 25931, *S. flexneri* ATCC 12022)
- სხვა ----- (*P.aeruginosa* ATCC 27853, *B.subtilis* ATCC 6633 და *B.cereus* ATCC 4342)

სადღეინფექციო საშუალების გამოსაკვლევი კონცენტრაცია და ექსპოზიციის ხანგრძლივობა*** -----

ნიმუშის წარმომდგენი იურიდიული/ფიზიკური პირი -----

(იურიდიული პირის დასახელება/ სახელი, გვარი სრულად)

ხელმოწერა: ----- შევსების თარიღი : ---/---/-----

* ბაქტერიოციდული თვისებების შესწავლა განხორციელდება „ბაქტერიებისა და ვირუსების ეროვნულ საცავში სადეზინფექციო საშუალებების ბაქტერიოციდული ეფექტის განსაზღვრის“ დესკრეც-ის SOP -ის მიხედვით

**ბაქტერიოციდული თვისების შესასწავლად ნიმუშის შეფუთვაზე და შენახვის პირობებზე (ტემპერატურა, დრო, შიგთავსის მუდმივობა) პასუხისმგებლობა ეკისრება წარმომდგენ მხარეს; სადეზინფექციო საშუალებები შეიძლება წარმოდგენილი იქნას ხსნარის, ფხვნილის, აბების და ხელსახოცების სახით, მწარმოებლის მიერ პირველადი (ქარხნული) შეფუთვით

***ბაქტერიოციდული თვისების შესასწავლად წარმოდგენილი ხსნარის განზავების და ექსპოზიციის დროს განსაზღვრავს ნიმუშის წარმომდგენი.

**** გამოსაკვლევი მიკროორგანიზმები შერჩეულია EN 13727:2009(E) - “ქიმიური დეზინფექტანტები და ანტისეპტიკები - რაოდენობრივი სუსპენზიის ტესტი ბაქტერიოციდული აქტიობის შესაფასებლად სამედიცინო სფეროში” სტანდარტის მიხედვით

***** გამოსაკვლევი მიკროორგანიზმები შერჩეულია CDC - ს რეკომენდაციით; www.cdc.gov

დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი
ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის
გენერალურ დირექტორს
ბატონ ამირან გამყრელიძეს

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

გთხოვთ, შეისწავლოთ:

სადეზინსექციო/სადერატიზაციო საშუალების ჩემს მიერ წარმოდგენილი
დოკუმენტების ვალიდურობა ადამიანის ჯანმრთელობისთვის მავნე ნივთიერებების*
არსებობაზე.

ვალიდურობისთვის წარმოდგენილი დოკუმენტების ჩამონათვალი : -----

დოკუმენტების წარმომდგენი იურიდიული/ფიზიკური პირი -----

(იურიდიული პირის დასახელება/სახელი, გვარი სრულად)

ხელმოწერა: -----

შევსების თარიღი : ---/---/-----



*სადეზინსექციო/სადერატიზაციო საშუალების თანმხლებ დოკუმენტებში დასახელებული მოქმედი ნივთიერებების შესაბამისობაზე სარეგისტრაციო სადეზინსექციო ნივთიერებასთან პასუხისმგებლობა მთლიანად ეკისრება ნიმუშის წარმდგენს

დამტკიცებულია სსიპ ლ.საყვარელიძის
სახელობის დაავადებათა კონტროლისა
და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის
ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორის
2017 წლის -----#----- ბრძანებით

სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და
საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი

სადეზინფექციო, სადეზინსექციო და სადერატიზაციო საშუალებათა
სარეგისტრაციო მოწმობა #

1.

(სადეზინფექციო საშუალების სავაჭრო დასახელება)

2.

(სადეზინფექციო საშუალების მწარმოებელი კომპანია, ქვეყანა)

3.

(სადეზინფექციო საშუალების მომწოდებელი ორგანიზაციის დასახელება, მისამართი)

4.

(გამოყენების სფერო)

სარეგისტრაციო მოწმობა გაცემულია "-----" ----- "-----" წ.

გენერალური დირექტორის მოადგილე
/ხელმოწერა/

ბ.ა.

სსიპ. ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და
საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის
გენერალურ დირექტორს ბატონ ამირან გამყრელიძეს
კომპანია _____-ის
დირექტორის _____

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

(რეგისტრირებული სადეზინფექციო, სადეზინსექციო და სადერატიზაციო საშუალებების შესახებ)

გთხოვთ მომაწოდოთ ინფორმაცია, არის თუ არა რეგისტრირებული ეროვნული ცენტრის მიერ _____

_____ კომპანია _____
(მიუთითეთ მწარმოებელი ქვეყნის დასახელება) (მიუთითეთ მწარმოებელი კომპანიის დასახელება)

მიერ წარმოებული (სადეზინფექციო, სადეზინსექციო, სადერატიზაციო) საშუალება _____

(მიუთითეთ საშუალების დასახელება)

გთხოვთ პასუხი მაცნობოთ ჩემს მიერ მითითებულ ვადაში:

1. ცნობის გაცემა 1(ერთი) სამუშაო დღის ვადაში - 100(ასი) ლარი
2. ცნობის გაცემა 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში - 50(ორმოცდაათი) ლარი
3. ცნობის გაცემა 14 სამუშაო დღეში და მეტში - უფასო

სადეზინფექციო, სადეზინსექციო და სადერატიზაციო საშუალებების რეგისტრაციის ცნობის გასაცემად საჭირო დოკუმენტაცია, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ქართულ ენაზე ნათარგმნი და ნოტარიულად დამოწმებული, თან ერთვის განცხადებას.

საკონტაქტო ტელ: _____

თარიღი: _____

ხელმოწერა: _____

ბეჭედი:

მწარმის მიერ წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა:

1. ინფორმაცია სადღეზინფექციო საშუალების გამოყენების სფეროს, წესებისა და პირობების შესახებ;
2. მონაცემები, სადღეზინფექციო საშუალების ნიშნების, ეტიკეტების, შეფუთვის, შენახვის ვადებისა და პირობების შესახებ;
3. მონაცემები სადღეზინფექციო საშუალების მაგნე ზემოქმედებისას პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევის, პროფილაქტიკური ღონისძიებებისა და ტექნიკური უსაფრთხოების წესების შესახებ;
4. მონაცემები, სადღეზინფექციო საშუალების შემადგენლობაში შემავალი ნივთიერებების იდენტიფიკაციის შესახებ;
5. იმპორტირებული პროდუქციის შემთხვევაში – მწარმოებელი ქვეყნის უფლებამოსლი ოფიციალური ორგანოს მიერ გაცემული წარმოშობის, ხარისხისა და უსაფრთხოების დამადასტურებელი დოკუმენტები.
6. ცენტრის მიერ გასაწევი სარეგისტრაციო მომსახურების საფასურის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი, საქართველოს 2015 წლის 14 სექტემბრის №468 მთავრობის დადგენილების „ეროვნული ცენტრის მიერ მომსახურების გაწევის ვადის, სახეების, საფასურის გადახდის და გადახდილი საფასურის დაბრუნების წესის დამტკიცების შესახებ“ შესაბამისად.

გავეცანი, ხელმოწერა _____